ბოლშევიკებო, ყველა ძველი, ზეცრთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOI SSR

სამშაბათი, 20 ნოემბერი, 1945 წ. № 229 (7444). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

საბჭოთა შამპანური. მოწინავე (1-ლი გვერდი).

ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს (1-ლი გვერდი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინს (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

მოსკოვის სალუტი სახელოვანი არტილერისტებისადმი (1-ლი გვერდი).

კავდიდატთა წამოყენება კავშირის საბჭოს და რესპუბლიკათა საბჭოს სოლქმა საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში (მე-2 გვერდი).

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მესვეურ კადრებში (მე-2 გვერდი).

ანა ნიკოლაძე — ლევ ტოლსტოი (მე-3 გვერდი).

ლ. ყურაშვილი — ზრუნვა სამამულო ომის ინვალიდების ჯანმრთელობის აღდგენისათვის (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა შამპანური

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში საუკეთესოდ ხარობს ვაზის შამპანური ჯიშები: „პინო-ფრანი", „ალიგოტე", „ცოცა", „შარდონე". ფართოდ განვითარდა შამპანურის წარმოება. კოლმეურნეობებს დიდი გამოცდილება აქვთ შამპანური ჯიშების გაშენებისა და მოვლის დარგში. ჩვენი მრეწველობა კარგად დაეუფლა მაღალხარისხოვანი ღვინის გამოშვების საქმეს. საბჭოთა შამპანური განთქმულია მთელს საბჭოთა კავშირში.

პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდნენ და იჩენენ ჩვენი ღვინისბიომის განვითარებისათვის, ყოველივე საბჭოთა შამპანურის განვითარებისათვის. ეს გვავალებს არ მოვკლოთ ყურადღება სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს.

მაღალხარისხოვანი შამპანური მასალის მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვაზის მოვლას. მოწინავე კოლმეურნეობების მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენში დიდი შესაძლებლობა არსებობს შამპანური ჯიშის ვაზის მისავლიანობის გადიდებისათვის. ასე, მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ნებოძორის კოლმეურნეობა „წინსვლამ", რომელიც დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვან ატარებს ყველა სამუშაოს, წელს „ალიგოტეს" ჯიშის ვაზიდან ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერზე მეტი ყურძენი მიიღო. ამავე რაიონის სოფელ ღვარკის კოლმეურნეობა „წითელი სხივიც" მშვენიერად უვლიან შამპანურ ჯიშებს „პინო-ფრანსსა" და „ალიგოტეს". მცხეთის რაიონის სოფელ წილკანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში „პინო-ფრანსის" ჯიშის ვაზიდან ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი ყურძენი მიიწია. ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღო სოფელ სავრძამის კოლმეურნეობა „გამთიაღმა".

სამწუხაროდ, ყველგან როდი ზრუნავენ შამპანური ჯიშების წესიერი მოვლა-პატრონის. კასპის, საჩხერის, ზესტაფონის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში შამპანური ჯიშის ვენახების მოვლას ნაკლები ყურადღება ეთმობა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ჩხარის რაიონში. ამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვენახებს ცუდად უვლიან, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შემოღობილი არ არის, არ ზრუნავენ აგრეთვე ქარსაცავი ზოლის მოწყობისათვის. ყოველივე ეს იწვევს მოსავლიანობის შემცირებას, რაც არ შეშვენით ჩხარელ კოლმეურნეებს. ვაზის მოვლის მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის საქართველოს შამპანური კომბინატის მეზობლის, ალაიანისა და ვაჭევის საბჭოთა მეურნეობებში.

რით არის გამოწვეული ეს სერიოზული ნაკლოვანებანი?

უპირველეს ყოვლისა იმით, რომ რაიონული პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და სამოწყობქმედო ორგანიზები გადაჰქრენ ზომებს არ იღებენ შამპანური ჯიშის ვენახების მოვლა-პატრონობის გაუფრთხილებისათვის. ჯერ კიდევ აქვს ადგილი შამპანური ჯიშების ვაზის შეუფხვილებას. აღმოფხვრილი არ არის აჩისწორი შეხედულება თითქოს შამპანური ჯიშის ვაზი ნაკლებმოსავლიანია. საჭიროა გავფხვიერთ ეს ყალბი შეხედულება, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა განუხრელად ახორციელებდეს სავალდებულო აგროწესებს. მაშინ მოსავალსაც მაღალ მივიღებთ.

საპატო ამოცანაა, მოვეყვანოთ შამპანურის კარგი მოსავალი, მოვამარაგოთ ჩვენი მრეწველობა ღვინის მაღალხარისხოვანი მასალით. ამ ამოცანის განხორციელებისათვის დიდი მუშაობა მოელით მცხეთის, კასპის, გორის, ორჯონიკიძის, ხაჩხერის, ზესტაფონის, ჩხარის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, კოლმეურნეებს.

ახლა საჭიროა მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ნიადაგის სამეთოდგომოსაზღვრო ღრმა გადაბარვა ორჯონიკიძის სასუქის სრული ნორმის შეტანით. უნდა მოვაწყოთ ნარგავების დაცვა. საჭიროა ყველა კოლმეურნეობამ შემოღობოს ვენახები, რომ ისინი პირუტყვმა არ ჭაანაღგუროს. მეტ ყურადღებას მოითხოვს ჭარსაცავი ზოლების გაშენებაც.

ერთ-ერთი გადაუდებელი საქმეა შრომის სწორად მოწყობა. კოლმეურნეობებმა მივენახეობის ბრიგადებიდან უნდა გამოჰყონ სპეციალური რგოლები შამპანური ჯიშების მოსავლელად და ნაკეთები მათ მიამაგრონ 4 წლით მაინც. ეს ხელს შეუწყობს ვენახების კარგად და მაღალხარისხოვნად მოვლა-დამუშავებას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანერგე მეურნეობის შემდგომ განვითარებას. საჭიროა უფრო მეტი ვიმუშაოთ სტანდარტული და მაღალხარისხოვანი ნერგების გამოყვანისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს შევაღსოთ მეჩხერი ვენახები, ისე რომ 1947 წლის ბოლომდე სრულად აღვიკვეთოთ მეჩხერიანობა. მეორე მხრივ, საჭიროა ფილოქსერა-გამძლე კოლმეურნეობას დაუწესდეს ნერგების გამოყვანისა და რეპროსების კალენდარული ვადები. ამ მუშაობის ჩატარებისას არ უნდა დავუშვათ ვაზის სხვადასხვა ჯიშების ერთმანეთში არევა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისარიატმა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს შამპანური ჯიშების ვაზების მდგომარეობის საკითხი და დასაბუთებული კონკრეტული ღონისძიებანი, მიმართულები ნარგავების მოვლის გაუმჯობესებისა და მისავლიანობის გადიდებისაკენ. მთელი ჩვენი ენერგიით უნდა ვიმუშაოთ, რათა პოლშეიკურად განვახორციელოთ ეს ღონისძიებანი.

სოფლად დიდი პატრიოტული აღფრთოვანებაა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავად კოლმეურნეები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ სარტყელი მეურნეობის ყველა დარგის ფართოდ განვითარებისათვის. მშრომელთა ეს დიდი საწარმოო-პოლიტიკური აღმავლობა უნდა გამოვიყენოთ სასოფლო სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, ვენახებში სამეთოდგომო-საზამთრო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, წარმატებით შევასრულოთ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის დაბადების 70 წლისთავის საპატიო ამოცანა: **„საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ხუთწლიანი შეკვეთილი კარგი ხუთწლის ღვინო და შამპანური, ყურძნის კარგი პროდუქცია, ერთიორად გავადიდოთ ყურძნის მოსავალი".**

ეი რა არის საბჭოთა მევენახეებისა და მეღვინეების ღირსების საქმე!

ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გულითადად მოგილოცავთ თქვენი სამოცდაათი წლისთავის დღეს.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს თქვენს, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორისა და შენებლის დამსახურებას სამშობლოს წინაშე. მთელი თქვენი შეგნებული სიცოცხლე — 50-ზე მეტი წელი — თქვენ მოახმარეთ რევოლუციური ბრძოლის მუშებისა და გლეხების ინტერესებისათვის. თქვენ მუდამ ლენინისა და სტალინის მტკიცე მიმდევარი და ერთგული თანამებრძოლი იყავით.

ოცდაექვს წელზე მეტი ხანია თქვენ საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი ხართ. ამ პოსტზე ყოფნისას, თქვენ მთელი ამ წლების განმავლობაში თქვენს ძალებს, ცოდნასა და ენერგიას უცილოდ ერთგულებდით კომუნისტური პარტიის ცხოვრების მეიდგარ გამოცდილებას აზმარდით მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირის განმტკიცების საქმეში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებისა და ამაღლების ამ სამშობლო თქვენ დაიმსახურეთ მთელი პარტიის ღრმა პატივისცემა და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მხურვალე სიყვარული.

თქვენი სახით ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა კავშირის ხალხები დღეს პატივს სცემენ პრინციპულ, უბრალო და გულთბილ, საბჭოთა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ფართო მასებისათვის მშობლიურს, ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეს.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, მრავალი წლის ჯანმრთელობას ნაყოფიერი შემოქმედებისათვის ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

საბჭოთა დელეგაცია დაბრუნდა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციიდან

ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციიდან, რომელიც ლონდონში შედგა, გუშინ მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ა. მიხაილოვის მეთაურობით.

ენტუზიაზმი აეროდრომზე ახალგაზრდობის მსოფლიო კონფერენციის მონაწილეებს შეხვდნენ საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის, მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები. საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენი სამოცდაათი წლისთავის დღეს თქვენ, ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელს.

თქვენი სიცოცხლის ორმოცდაათზე მეტი წელი თქვენ მოახმარეთ ჩვენი ბალხისადმი უანგარო სამსახურს. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, ხართ რა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი, თქვენ დაუღალავად მუშაობთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განსამტკიცებლად.

თქვენმა სახელმწიფო მოღვაწეობამ, დაუღალამა მუშაობამ ლენინ-სტალინის იდეათა სულისკვეთებით ხალხის მხსნების აღზრდის დარგში, ჩვენი ქვეყნის მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირმა, თქვენმა სიბრძნემ, თავმდაბლობამ და გულში ჩამწვდომმა უბრალობამ თქვენ მოგიხვეჭეს ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა სიყვარული და ღრმა პატივისცემა. დიდი სამამულო ომის დღეებში თქვენ ხმა მაგნებარე პატრიოტისა ჩვენი სამშობლოს ხალხებს აღაფრთოვანებდა შეურეგებელი ბრძოლისათვის დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ.

და ახლა, როცა ჩვენმა ქვეყანამ გაამარჯვება მოიპოვა, თქვენი დიდი სახელმწიფოებრივი და ცხოვრების გამოცდილება ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს საბჭოთა კავშირის ხალხებს მათ წინაშე დასახული ამოცანების — ტბრის მიერ დანგრეული მეურნეობისა და კულტურის უსწრაფესი აღდგენისა და ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განტკიცების — განხორციელებაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გისურვებთ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, მრავალი წლის ჯანმრთელობას და ძალღონეს შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ჩვენი სამშობლოს ხალხთა საკეთილდღეოდ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში და განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი** მისი სამოცდაათი წლის თავის დღეს დაჯილდებულ იქნას **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1945 წლის 19 ნოემბერი.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოთა სანიტარული მდგომარეობის დათვალიერების შედეგები

დამთავრდა საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოთა სანიტარული მდგომარეობის მასობრივი შემოწმება, რაც პროფკავშირული ორგანიზაციების და სახელმწიფო სანიტარული ინსპექციამ ჩაატარეს. დათვალიერების დროს მხოლოდ რსფს რესპუბლიკაში და უკრაინის სს რესპუბლიკაში შემოწმებულ იქნა 50 ათასზე მეტი სახადილო, ბუფეტი, ჩაიხანა, ფურნე, ბარი და სხვები. ბევრ მაღაზიაში გაკეთდა რემონტი, გაიმდიდრებულ სანიტარული მდგომარეობა.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ, განიხილა რა დათვალიერების შედეგები, აღნიშნა, რომ ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები არ იბრძვიან სანიტარიის ელემენტებრივ მოთხოვნათა ეხლანდელ ფაქტებზე წინააღმდეგ. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, წლის დამლევამდე „მოსკოვურის" კომბინატის შენატკბები გვაქვსო ეწვნა 10 ახალი სასადილო და 8 მაღაზია, კაბატერიები „რომ ტუგუროლა" და „კარაგანდაუგოლის" კომბინატთა საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოებს. აღმოფხვრება აგრეთვე ნაკლოვანებანი სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის ზოგიერთ კარხნის სასადილოებისა და მაღაზიების მუშაობაში. გადაწყდა გაიხსნას საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის მუშაკთა სანატორიუმ ცოდნის ასაღლებელი კურსები.

ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოთა ხელმძღვანელები და აქტივისტები სისტემატურად შეხვდებიან მოსახლეობას, მოისმენენ მათ წინადადებებსა და შენიშვნებს. (საკდესი).

საარტილერიო სალუტი თბილისში პრტლერ იის დღის აღსანიშნავად 1945 წლის 18 ნოემბერს. ფოტო ვლ. გიხბაძისა.

მოსკოვის სალუტი სახელოვანი არტილერისტებისადმი

გუშინ დედაქალაქში ზემოთ აღნიშნა საბჭოთა ხალხის ღისსწაული—სტალინური არტილერიის დღე.

როგორც კი შებინდდა, ათიათასობით მოსკოველმა გაავსო ქუჩებისა და ტეატრების სასახლეების მორთული დარბაზები, სადაც გაიმართა სახელოვანი არტილერისტების დღისასწაულისადმი მიძღვნილი საღამოები.

საღამოს, როგორც ჩვეულებრივ სახალხო ღისსწაულების დროს, მოსკოველები ქალაქის ყველა კუთხიდან გაემართნენ ცეხტრისაკენ, წითელი მოედნისაკენ. აქ კრემლის კედლებთან შეიკრიბნენ მშრომელები, რათა ენახათ დიდებული სალუტისსწაული სალუტი. დამსწრეთა შორის იყო ბევრი ღემობილიზებული მეომარი, რომლებმაც მოხსწრეთა მიიღეს ბერლინის, კენიგსბერგის, ბუდაპეშტის გმირულ იერიშებში.

19 საათზე, როგორც კი დარეკეს მაცხოვრის კოშკის კურანტებმა, დედაქალაქის სხვადასხვა რაიონებში დადგმულმა ასობით პროექტორმა თავიანთი სარკის ლინზებიდან მთელი ძალით სტყორცნეს ცას ალისფერი, მწვანე, ყვითელი, ისისფერი შუქი. პროექტორების სხივებმა გაანათეს ლენინისა და სტალინის პორტრეტები, სსრ კავშირის სახელმწიფო ალაბი, რომელიც ამაყად ფრიალებს ცაში.

ომმავე წუთს იგრიალა პირველმა ზალვამ; ათასობით მრავალფეროვნებამ რაკეტამ ერთ წუთს დაჩრდილა პროექტორთა ბრწყინვა და გაანათა სადღესასწაულოდ მორთული დედაქალაქის ხალხით გაჭედილი მოედნები და ქუჩები.

20-ჯერ იგრიალეს მოსკოვის ზარბაზნებმა მძლავრი და უსწორეველი სტალინური არტილერიის სადიდებლად. (საკდესი).

მომავალი მაჯიჩი „დინამო"—„არსენალი"

ლონდონი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ „დინამოსა" და „არსენალის" გუნდებს შორის მატჩი განწრახულია ოთხშაბათს, 21 ნოემბერს. კლუბ „არსენალის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს კლუბი ეცდება, რათა „დინამოს" წინააღმდეგ ფეხბურთელთა შერჩევაში „არსენალის" გუნდში მონაწილეობა მიიღოს ინგლისის სხვა საფეხბურთო კლუბების საუკეთესო მოთამაშეებმა. ეს ღონისძიება დასაბუთებულია იმით, რომ „არსენალის" გუნდის ფეხბურთელთა ერთი ნაწილი არმიაში იმყოფება და ვერ გათავისუფლდება მატჩში მონაწილეობის მისაღებად.

კანდიდატთა წამოყენება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში

ჭიათურა

ჭიათურის რაიონის სოფელ გუჩრელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 563 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად წამოაყენა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. **ანა ლევანტის-ასულ ჩხეიძის** კანდიდატურა. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობა პროფკავშირის რაიონული კომიტეტისაგან კანდიდატად წამოყენებულია მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გერგასა ოთარ-ძის-ძე ბიწაძე.** სოფელ მღვიმეების კოლმეურნეობამ თავისათ კრებაზე ამავე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში ერთხმად დაასახელა კოლმეურნეობის თავმჯდომარის **ვერა დავითის-ასულ გაფრინდაშვილის** კანდიდატურა. ჭიათურის რაიონის ახალგაზრდობა კომკავშირული ორგანიზაციისაგან კანდიდატად წამოყენებულია საქართველოს აღკ ჭიათურის რაიკომის მდივანი **ბარუხა ვლადიმერის-ძე გამყრელიძე.**

ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს მუშაკთა კოოპერატმა კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 563 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელა სტახანოვმოძრაობის ავანგარდის **ვარლამ სამსონის-ძე ბუღაძის** კანდიდატურა, ხოლო სტალინის სახელობის მაღაროს მუშაკთა კოლექტივმა—ცნობილი მებრძოლი **ლავრენტი იოსების-ძე ბიწაძის** კანდიდატურა. დაწუებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირული კავშირის რაიონულმა კომიტეტმა ამავე საარჩევნო კომისიაში კანდიდატად წამოაყენა **კარაქ დომენტის-ძე ტუმანალაძე** — მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის რაისაბჭოს გაბათილების გაზეთ „ბრძოლის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელებული არიან: ჭიათურის პარტიული ორგანიზაციისაგან — საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ალექსანდრე მაქსიმის-ძე ხხილაძე,** სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივისაგან — პარტბიუროს მდივანი **გიორგი ყარამანის-ძე თოდაძე,** საშუალო და დაწყებითი სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის რაიონული კომიტეტისაგან —მოწინავე მასწავლებელი, მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი **თამარ რაჟდენის-ასული მოდებაძე** და ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივისაგან — **ტრიფონ ნარიმანის-ძე ჩაჩანიძე.**

ტყიბული

ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ტყიბულის რაიკომის სხდომაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ამბრილაურის №111 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ტყიბულის რაიკომის თავმჯდომარე ამხ. **გალაქტიონ იოსების-ძე სოფრომაძე,** ხოლო კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის №562 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში — **ნაოსოლაზ გიორგის-ძე კოკაისაშვილი.**

ზესტაფონი

ზესტაფონის რაიონში მიმდინარეობს კანდიდატების დასახელება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომმა კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის №563 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკი, მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გერასიმ პროფატის-ძე ცუცქირიძე.** ლანჩხუთის რაიონის გულიანის ხიზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენა მშრომელთა დეპუტატების ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ელიზბარ თომას-ძე გუჯაბიძე.** ამხ. გუჯაბიძე სამშაბათს ოქტ. დღეებში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ჩხარი

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ჩხარის რაიკომმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების **ზესტაფონის** №109 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა თერჯოლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის, ორდენოსანი მასწავლებლის **სონა ივანეს-ასულ ნეფარიძის** კანდიდატურა.

სოფელ თერჯოლის ჩაელოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა სერთო კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის №563 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენოს კოლმეურნეობის გამგის თავმჯდომარე ამხ. **კარპეზ ბოლოტის-ძე მურადაშვილი.**

უკაზები

ჯაჯეზეის რაიონის სოფელ სიონის ბაერაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს „მიმართა თხოვნით ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის №122 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაამტკიცოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის **ამხ. შალვა სოლომონის-ძე კობაიძე.**

ფოთი

ფოთის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კრებამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ფოთის №103 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენა საორთქლმავლო დეპოს მოწინავე მუშაკი, მემანქანის თანაშემწე **ამბ. ვერა ნიკოლოზის-ასული ბაბუნაშვილი.**

სოფელ პატარა ფოთის ჩარქვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ კავშირის საბჭოს არჩევნების ფოთის №560 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა კოლმეურნეობის №2 ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. **ივანე უტუნას-ძე თოდუა.**

ფულუკიძე

წულუკიძის ძაფსაკეთი ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებამ ერთხმად დაადგინა — კავშირის საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების №561 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას ფაბრიკის ერთერთი საუკეთესო სტახანოველის, ორდენოსანი მუშის **ვენერა თომას-ასულ ნუცუბიძის** კანდიდატურა, ხოლო ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის №105 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში — წულუკიძის ძაფსაკეთი ფაბრიკის დირექტორის ამხ. **ვლადიმერ ექვთიმის-ძე მონიავას** კანდიდატურა.

საჩხერე

საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის №563 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. **ივანე მალაქიას-ძე ბუღაძის** კანდიდატურა. ამხ. ბუღაძე ექვსი წელია, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს. ეხერგეული მუშაობისათვის დაჯილდოებულია მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“.

მეფხესწყრომის მუშაკთა პროფკავშირის საჩხერის რაიკომის სხდომაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის №112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნა არგკვთილ საქმით უხნის გამგის ეკიმ **თამარ ვლადიმერის-ასულ თოდაძის** კანდიდატურა.

ისინი იწერებოდნენ ფრონტიდან

სახელოვანი მეზენიტე

ეს მოხდა ფაშისტი მხეცის ბუნაგზე უკანასკნელი იერიშების დღეებში. გერმანელთა თვითმფრინავები ბომბებს უშენდნენ, ცდილობდნენ გაენაღდგურებინათ გადასასვლელი. რომელ-

საც ეფროს ლეიტენანტ ვახტანგ ჭიქონიას ბატარეა იცავდა.

ჩვენმა მეზენიტეებმა წარმატებით მოიგერიეს ფაშისტი ავაზაკების რამდენიმე ეერიში. მაშინ გერმანელთა თვითმფრინავებმა გაფორებული იერიში მიიტანეს თვით ბატარეაზე, რათა მოესპოთ მისი საბრძოლო წყობები. მაგრამ ამჯერადაც ჩვენმა არტილერისტებმა მოიგერიეს მტრის მოპარიე თვითმფრინავთა თავდასხმა.

სამი დღის განმავლობაში ბატარეამ მტრის ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ ჭიქონიძე სარდლობამ დააჯილდოვა წოვილი ვარაკვლავის ორდენით. უმაღლესმა ჯილდომ ახალი სავგიზოი სამეომებისათვის აღაფრთოვანა ახალგაზრდა ქართველი მეომარი.

ცხარე ბრძოლა იყო გაჩაღებული დნიპრზე ოღერზე. საბჭოთა არტილერია გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა გერმანელებს და გზას უკაფავდა ჩვენს შემტევ ჯარებს. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა. მთელი დღის გაფთრებული ბრძოლა გერმანელთა დამარცხით დამთავრდა.

დაიწყო მცირე შესვენება. ვახტანგ ჭიქონიძეს სურს მისწრაოს მამას ბერილი, უამბოს თავის საბრძოლო წარმატებებზე, რომ გაახაროს მშობლის გული.

სრული ოთხი წელიწადია იგი თავდადებით ებრძვის სამამულო ომის ფრონტზე, 1941 წლის ივნისში კი როვის სახლობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. სამშობლოს მოწოდებას პან წოთელი არმიის რიგებში წასული უპასუხა. მამა—კონსტანტინე ჭიქონიძე ჭოსპიტალში წვიდა სამუშაოდ.

სახენიტო არტილერიის სკოლის დამთავრების შემდეგ ვ. ჭიქონიძემ საბრძოლო ნათლობა ქალაქ ბრიანსკთან მიიღო. ებრძოდა ჯერ ალერი ფაშიზტ დამპყრობლებს ორიოლთან, მცდგარი ბრძოლით გაიარა ბელორუსია, პოლონეთის მიწა-წყალი და შემდეგ გერმანიაში ებრძოდა ბერლინიდან 60 კილომეტრზე.

ვახტანგი ძალზე ჩამოზოდა, ქალალდი და ფანქარი მოამზადა, ჩანთა მეხლებზე დაიდო, დაიწყო წერა.

— „მერიდსო მამაშ გისურვებ ბედნიერ ცხოვრებას. ჩემი ჯანდაბა ვერ გეგმენა. ოდერზე შემდგარ ბრძოლა გადავიტანეთ. გერმანელები ცდილობენ გადმოვაგდონ მეორე ნაპირზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ჩემს ბატარეას ოთხჯერ დაისხენ თავს მტრის თვითმფრინავები, მაგრამ მიზანს ვერ მოაღწიეს, მეთოხეჯერ კი მტრის ავიაგამანადგურებელი ჩამოვაგდეთ. თვითმფრინავი ჯაოხში ჩავარდა. სხვა რა მოგწერო, ახლა მალე მორიგი „კონცერტი“ დაიწყება. წერას ამით გამოვთავრებ“.

გაწელო ცოტა ხანმა. ამუშავდა უფროსის ლეიტენანტ ვახტანგ ჭიქონიძის ბატარეა. მისი გამანადგურებელი ცეცხლი ეზმარებოდა ბერლინისაკენ იერიშზე მიმავალ წოელი არმიის მეომრებს.

ალ. ჭყონია

საყვარელი სამშობლოსათვის!

ჩვენ, მზიანი საქართველოს შვილებს, გვიდა ეუამთო ქართველ ხალხს, როგორ ვასრულებთ მეომრულ ფიცს. ომამდე ვშრომობდით საკოლმეურნეო მიწდერებში, მაგრამ მტერმა დაარღვია ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება.

ჩვენ მალე ჩაუდექით სამშობლოს დაცველთა რიგებში.

ომმა ბევრი რამ გვასწავლა. ბევრი რამ გამოვსცადეთ. ჩვენ ვანადგურებდით ტყეს მოსკოვის მახლობლად, ორიოლის ოლქში, უკრაინის მიწა-წყალზე, პოლონეთის ტერიტორიაზე. ახლა კი ვანადგურებთ მტერს მის ბუნაგში.

ბევრჯერ გადაგვიხდა მძაფრი ბრძოლები გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან. ჩვენ წინ მიეღიდითო და მიგდიპრით სამშობლოს, ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** სახელით აღფრთოვანებულნი.

უკრაინისათვის ბრძოლებში ჩვენი ამხანაგი გვარდიის სერჟანტი გ. ღუღუნიშვილი მარტო დარჩა ქვემეხთან. გერმანელები ეძალებოდნენ. ისინი მთვრალები იყვნენ და გულდაგული მოღიოდნენ წინ. მეშინეს ღუღუნიშვილი მშვიდად იდგა ქვემეხთან და ესროდა ჰიტლერელებს. გერმანელები 70 ტანკით მოუახლოვდნენ ქვემეხს და გრანატების სროლა დაუწყეს. მაგრამ ღუღუნიშვილს მაშინაც არ დაუტოვებია ქვემეხი. მტრის ტანკი მთვრივებულ იქნა, ბრძოლის ველზე 216 მოკლული გერმანელი დარჩა. ამ ვაქაცური ბრძოლისათვის ღუღუნიშვილი დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით.

ჩვენ გადავლახეთ მდინარე ოდერი და ამჟამად მის დასავლეთ ნაპირზე ბრძოლისტერიო ცეცხლით წინ გზას ვუკაფავთ ქვეით ჯარს.

ფიცს გაძლევეთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვებრძოლებთ საყვარელი სამშობლოსათვის.

გვარდიის სერჟანტი
შ. ვ. ლობჟანიძე
გვარდიის წითელარმიელი
ა. ი. მაჭარაშვილი

გერმანია, 15 მარტი, 1945 წელი.

სალამი!

გმირმა წოთელმა არმიამ ბრწყინვალედ შეასრულა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძოლა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ **სტალინის** ბრძანება და ფაშისტი მხეცი გაანადგურა საუთარ ბუნაგში.

ჩვენ ვამაყობთ, რომ მონაწილე ვიყავით დიდი სამამულო ომისა, ვიბრძოდით სამშობლოს საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენი ქვეშეხები კაეკასიის მისადგომებზე გაჩაღებული ბრძოლების დღეებიდან ბერლინამდე ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალას და ტექნიკას. ჩვენი ამხანაგი, ქვეშეხის მეთოფი მიხეილ გრიგოლის-ძე ნაბადაძე, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მეკანიკური ფაკულტეტის მე-2 კურსის ყოფილი სტუდენტი, ამაყობს იმით, რომ საბრძოლო გზა კავკასიიდან გერმანიამდე ისე გაიარა მისი ქვემეხი ერთხელაც არ გამოსულა მწყობრიდან და ქვეშეხის გუნდს არ დაკლებია არც ერთი კაცი. ომი დამთავრდა. ქართველი არტილერისტების სიხარულით ეგებებიან ჩვენს აღმზრდელ საქართველოს, რომ პირნათლად მოვეხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე, უნარიანად მოვიხმარეთ იარაღი, რომელიც მან მოგვცა მტრის განსადგურებლად.

არტილერისტების სალამი საქართველოს მშრომელებს!

აკაკი ჩიხლაძე, გ. დოლაბაშვილი, გ. კაპანაძე, რ. გურცკაია, კ. ბეჭაშვილი, გ. წამალაიძე, შ. ჯღიაური, ვ. დანელიშვილი, ს. დანელიშვილი, შ. ქართველიშვილი.

თბილისის სამხედრო ოლქი. ქვეშეხი, რომელიც მემანზედ არის უმცროსი სერჟანტი გ. ღუნაბელაშვილი აწერილია საწყალო სროლაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს აღკპ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი

17-18 ნოემბერს მიმდინარეობდა საქართველოს აღკპ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი, რომელშაც განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი. მოხსენება გააკეთა საქართველოს აღკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ.

— ასობით და ათასობით კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა,—ამბობს ამხ. ბალავაძე,—დიდ საბაგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან სტალინური კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების პოპულარიზაციისათვის. კარგა ბანდღეა ამ მხრივ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის და სოხუმის კომკავშირულ ორგანიზაციებს. თბილისის სტალინის რაიონის საწარმოდ-დაწესებულებებში 90 კომკავშირული აგიტატორი მუშაობს. ამას გარდა, მოსახლეობაში საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტების ეწევა 20 აქტივისტი. კომკავშირის რაიკომმა მოამზადა საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, შეკრძალა აგიტბრიგადები აგიტპუნქტების დასახმარებლად. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინტიერთა ინსტიტუტის, ინდუსტრიული ტექნიკუმისა და მაღდ-კომკავშირის ფაბრიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში პრაქტიკის ჩატარებისათვის ხალხის საკანონმდებლო საკითხებზე. სოხუმის, ჭიათისის და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ პარტიულ ორგანიზაციებს არჩევნებთან დაკავშირებით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებაში.

— მაგრამ მიღწეულით როდი შეიძლება დავკმაყოფილდეთ,— ამბობს მომხსენებელი. — ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები, რომელთა დაძლევა აუცილებელია.

ამხ. ბალავაძემ მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს აღკპ ბაუჩის რაიკომის მუშაობა. იქ ბიუროზე დღემდე არ განუხილავთ საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებაში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ, არ შეუმუშავებიათ სათანადო ღონისძიებანი. შეიძლებოდა როდია, რომ რაიკომის ზოგიერთ მუშაკს (მეორე მდივანს ამხ. ნოხაძე, ინსტრუქტორებს ქურდაძესა და ჰუაშვილს) არც კი აქვთ წაკითხული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება. ნაკლოვანებანი თავისთან მუშაობაში აქვთ კაჭრებს, საგარეჯოს და გორის რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებს.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო აგიტაციის ხასთანაო სიმაღლეზე დაყენებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვით ჩვენმა ხელმძღვანელმა კადრებმა და აქტივისტებმა საფუძვლიანად შეისწავლონ სსრ კავშირის კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი.

ამხ. ბალავაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიღო 10 კაცმა.

— ქალაქ ქუთაისის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა,—განაცხადა საქართველოს აღკკ ქუთაისის ქალაქკომის მდივანმა ამხ. ნ. იმნაიშვილმა,—თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს არჩევნების დებულებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის ღრმა შესწავლის მოსაწყობად. ქალაქში შექმნილია 120 წრე, რომელთა უმეტესობა კარგად მუშაობს. ამრიგადის კომპანატში წრის ხელმძღვანელი ამხ. თ. გიორგობაიძი შეცდომების დროს ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას. სამეურნეო ფაბრიკაში მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. ქალაქში ჩატარდა ლექციები შემდეგ თემებზე: „სტალინური კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი“, „საბჭოთა კავშირის მოქალაქის უფლება-მოვალეობანი“, „არჩევნები კაპიტალისტურ ქვეყნებში“, „სოციალისტური დემოკრატია“ და სხვ.

საქართველოს აღკკ მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. გობრონიძემ ილაპარაკა მომხსენებელთა ჯგუფის მუშაობაზე, მოწონავე პირველად სოციალურეული ორგანიზაციების და ღონიშნა, რომ ბევრგან კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს დღედღე არ გარდატეხილით მუშაობა არ ეწევებასთან მზადებასთან დაკავშირებით.

— აჭარის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — განაცხადა საქართველოს აღკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. დოლიძემ, — ფართოდ გაშალეს საარჩევნო აგიტაცია ახალგაზრდობაში. ამ მხრივ სამაგალითოდ მუშაობენ ბათუმის რკინიგზის კვანძის, მთელი რიგი საწარმოწარეწყებების და კომკავშირული ორგანიზაციები.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე ილაპარაკა საკომკავშირო აქტივისტების მდივანმა ამხ. ა. ფარულავამ.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში უმაგალითოდ გაიხარა ახალგაზრდობის საწარმოო აქტივობა, — განაცხადა ამხ. ფარულავამ. —სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში 170 კომკავშირელმა ერთხანგავრი ნორმის გამოშუშავება აკისრა და ყველა მათგანი პირნათლად ასრულებს ნიტყვას. მაგალითად, კომკავშირელი ამხ. ბრძოლი ახლა სისტემატურად 220 პროცენტით ასრულებს დავალებას, ხოლო კომკავშირელები ჯიქურიძე, კაჭაძიე და ცისკარიძე ნიადაგ ერთხანგავრ—ორ ნორმას აძლევიან. ასეთივე შრომითი ალმავლობაა სათრაქლავო დეპოში, მაუდის ფაბრიკასა და დედაქალაქის მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

თბილისის საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში საარჩევნო დებულების პოპულარიზაციას ეწევა 600-ზე მეტი ახალგაზრდა პატრონატი. კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდა ამომრჩევლებთან მუშაობას.

— ახალგაზრდობის დიდი ნაწილი პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში,—განაცხადა საქართველოს აღკკ ახჭაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. თ. თოდუამ.—მარტო ბიჭალის სახელობის სოხუმის პედინსტიტუტში 650 ასეთი ახალგაზრდა ამომრჩეველი ითვლება. საქალაქო კომიტეტმა გაითვალისწინა ეს და მეშობა გაშალა სტალინური კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების შესასწავლად. ამ მხრივ მიღწეულებთან ერთად ნაკლოვანებებიც გვაქვს. ზოგან ჯერ კიდევ არის ფორმალიზმი დებულების შესწავლის საკითხში, არ ზრუნავენ საარჩევნო ლიტერატურის მომარაგებასთან, ნაკლებად ეხმარებიან აგიტატორებს და სხვ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე: გ. მათეშვილი (თელავის რაიკომი), ქ. ლაცაბიძე (გორის რაიკომი), მამედოვი (ბორჩალოს რაიკომი), ფ. ფოფხაძია (ახაშის რაიკომი) და ლ. ასაკაძე (ასპინძის რაიკომი).

მეორე საკითხზე—საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაობის განეთანარებისათვის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სამხედრო დარგში ამხ. ვ. ლეონიძემ.

საქართველოს კომკავშირულმა და ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა დიდი სამამულო ომის წლებიდაც მეომარ ხალხთან ერთად ბრძოლის ველებზე ბრძოლის ველებზე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის დარგში. მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში ახალი, მძლავრი გაქანება ჰპოვა ფიზკულტურულ-სპორტულმა მუშაობამ. ბევრმა კომკავშირული ორგანიზაციის კარგად ხელმძღვანელობს ფიზკულტურული კომპლექსების ნორმების ჩასატარებლად ახალგაზრდობის მობილიზებას. ატარებენ სპარტაკიადებს, სასპორტო შეჯიბრებებს, ჰქმნიან ახალ კლუბებს და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე, რომ ფიზკულტურული მუშაობის დარგში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. სოფლად უმეტეს შემთხვევაში ფიზკულტურული კოლექტივები, სპორტული სექციები, წრეები და გუნდები ფორმალურად არიან ჩამოყალიბებული და არავითარ მუშაობას არ ეწევიან (მაბარაძე, ჭობილაური, ქასპი, წულუკიძე და სხვ.) ამათთან ხანთანდო ყურადღება და ეკლეცი ფიზიკური კულტურისა და სპორტის კადრების მომზადების, არაა საკმაო ზრუნვა ახალი უხარიანი სპორტსმენების გამოსაკენებლად და აღსაზრდელად. ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ კომკავშირის სოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები არასაკმაო დახმარებას უწევენ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, მის კადრებს. ფიზკულტურული მუშაობის დარგში არსებული ნაკლოვანებანი განმწვევლია აგრეთვე იმით, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ცალკეული კომიტეტები და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა სამუშაო მოწყვეტილია არიან ძირიულ ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ამხ. ლეონის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ბურღულეი (მცხეთა), გოგიაშვილი (თბილისი), ხაჩაპურიძე (ახმეტა), იოსელიანი (წყალტუბო), სხირტლაძე (საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სამეთოდო კომიტეტი), გოგაური (ყაზბეგი), ბაჯელიანი (ბჭარა), ურაშვილი (ლანჩხუთი), თაყვილიშვილი (საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტი).

დასასრულ პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. სხვა საქმეთაორის გადასულის გამო გ. შ. ივანიშვილი განთავისუფლებულ იქნა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან. პლენუმმა მეორე მდივნად აირჩია ივლიან სამხარის-ძე ზოდელავა და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ.

ზრუნვა სამამულო ომის ინვალიდების ჯანმრთელობის აღდგენისათვის

დიდი სამამულო ომის დღეებში პროფსაიუზ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს დაეევალა ზურგის საევაკუაციო ჰოსპიტალების ჩამოყალიბება სამხედრო ჰოსპიტალების და დასასვენებელი სახლების ბაზაზე.

საქართველოს რესპუბლიკაში საევაკუაციო ჰოსპიტლები ჩამოყალიბდა ბორჯომში, წყალტუბოში, ლიხანში, ცქალთაში, აგუძერაში, ქობულეთში, ზუგდიდში, ცხისწყალში, ახასთუმანში, სურამში, გაგრასა და თბილისში. კვალიფიციური სამედიცინო მუშაკებით დაკომპლექტებულ ამ ჰოსპიტლებს გადაევსო საუკეთესო შენობები და პირველხარისხოვანი სამედიცინო მოწყობილობა.

ჩვენი უპირველესი ამოცანა იყო წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ჯანმრთელობის აღდგენისათვის ჰოსპიტლებში სამკურნალო მუშაობის სანიმუშოდ დაყენება, დაჭრილ მებრძოლთა სწრაფი მორჩენა და მათი წითელი არმიის რიგებში დაბრუნება. სამედიცინო მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს მათ წინაშე დასმული ამოცანები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჰოსპიტლები ომის ზურგში იმყოფებოდნენ და აქ ეგზავნებოდნენ მძიმე ავადმყოფები, მკურნალობის მაღალხარისხოვან დაყენებას შეეგვად, დაჭრილთა მორჩენა, წითელი არმიის რიგებში მათი დაბრუნება საშუალოდ 60-64 პროცენტს უდრიდა.

ჩვენი ჰოსპიტლების მუშაობის მთელ პირიოდში გამოყენებული იყო კომპლექსური მკურნალობის მეთოდი: ქირურგიული აქტიური ჩარევა (ოპერაციები და სისხლის გადასხმა), ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურული კაბინეტებით მომსახურება, პიგიენური ტახარჯრიში, სამკურნალო ტახარჯრიში, რენტგენკაბინეტები, ლაბორატორიული ანალიზები.

საკავშირო პროფსაბჭოს საქართველოს ჰოსპიტლებში სამედიცინო მუშაობის საქმის კარგად დაყენებას და მკურნალობის წარმატებას ხელი შეუწყო ამ საქმეში უშუალო მონაწილეობამ ისეთი მაღალკვალიფიციური კონსულტანტებისა, როგორიც არიან აკადემიკოსი გ. მუხაძე, პროფესორები კ. ერისთავი, ა. ალადაშვილი, გ. ნაზარიშვილი, მ. ცხაკაია, გ. ასათიანი, ე. ანდღულაძე, ნ. დემიტრაძე და დოცენტი გ. მათუშვილი. მათი უშუალო დახმარებით კარგად მუშაობდენ აგრეთვე დოცენტები ნ. მუშკორი, შ. მთავრელიძე (ბორჯომი), ექიმები კ. კობახიძე, გ. ყიფიანი (ზესტაფონი), გ. აბაშიძე, ე. კახელაშვილი (ახასთუმანი), ა. კერესელიძე, ქ. ჩორგოლაძი (ცქალი), ტერ-იზრაელიანი, გ. გოგიბერიძე (ლიხანი) და სხვები.

გარდა ნორმით გათვალისწინებული ქვებისა, დამატებითს ქვებაზე საკავშირო პროფსაბჭოს დახარჯული აქვს 6.520.000 მანეთი. დამხმარე მეურნეობებიდან ჰოსპიტლებს ეძლეოდათ ბოსტნეული, ცერტრესები, მარცვლეული, კარტოფილი. საშეფო ორგანიზაციებიდან ჩვენს ჰოსპიტლებს მიღებული აქვთ 610.000 მანეთის საჩუქრები. სარემონტო-სააღმშენებლო სამუშაოებზე (მიმდინარე და კაპიტალური რემონტი) **დახარჯულია** 8.818.000 მანეთი, ინვენტარის შესაძენად — 8.267.000 მანეთი, სულ 17.085.000 მანეთი.

ჰოსპიტლების უფროსებთან ერთად, მათი მოადგილეები პოლიტიკურ ნაწილში აწარმოებდნენ პოლიტაღმზრდელობითს და მასობრივ მუშაობას. ტარდებოდა ლექციები სხვადასხვა თემებზე; ეწყობოდა რადიოგადაცემები, კინო-სურათების ჩვენება, ადგილობრივი თვითმოქმედი წრეების სამღერები. ამ მხრივ კარგად იყო დაყენებული მაგალითის მიხედვით მუშაობა მთელ ჰოსპიტალში (უფროსის მოადგილე პოლიტწაწილში ამხ. ე. სარია). ბორჯომის ჰოსპიტლის უფროსის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ა. კერესელიძემ მასალაძი ინიციატივა გამოიჩინა—ადგილზე შეკრიბა მუზეუმი სამკურნალო მყოფ დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა გმირული ბრძოლების შესახებ ეგრეთვე მასალებისაგან. თვალსაჩინო ადიღაცია კარგად იყო დაყენებული ახასთუმანის ჰოსპიტალში (უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. გ. ბურკაძე).

კარგი ინიციატივა გამოიჩინა წალენჯის ჰოსპიტალმა (უფროსი ამხ. ს. ცოფაია, მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. ბ. მირნაღა). მან პირველმა მოაწყო თანშრომ შეგროვება თვითმფრინავის „საბჭოთა საქართველოს ჯანმრთელობის კერის“ შეძენაბრძოლისათვის. ამ საქმეში ჰოსპიტლის ხელმძღვანელობამ მიიღო დიდი სტალინის სახ. ტანსაცმლის სალაში და წითელი არმიის მადლობა.

ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ჰოსპიტლებს შორის. შემოწმების შედეგად 1942 წელს წყალტუბოს და ბორჯომის ჰოსპიტლებმა გადაეცათ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ამ ჰოსპიტლებმა ეს მაღალი ჯილდო დღემდე შეინარჩუნეს.

ომის დამთავრების შემდეგაც პარტია და ხელისუფლება ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა განსაკუთრებული პირობები შეუქმნან სამამულო ომის ინვალიდებს მკურნალობისა და დასვენებისათვის. ამ მიზნით გამოტანილია დადგენილება სამამულო ომის ინვალიდებისათვის სანატორიუმების განსნის შესახებ. საქართველოში სანატორიუმები გაიხსნება: წყალტუბოში, ბორჯომში, ლიკანში, ლიხანში, ცქალში და ბორკნე კონცხზე. სანატორიუმები მომსახურებას გაუწევენ სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებიც მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში და საწარმო-დაწესებულებებში. საგზურებს შეიძენენ პროფკავშირები და გასცემენ უფასოდ.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით ჩვენ შეეძლებთ სანატორიუმები გავხსნათ დაწესებულ ვადებში და წარმატებით შევასრულოთ დავალება სამამულო ომის ინვალიდების გაჯანსაღების დარგში.

ლ. ᲧᲣᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘ

საქართველოს რესპუბლიკაში საკავშირო პროფსაბჭოს ჰოსპიტალების სამმართველოს უფროსი

ᲓᲔᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲮᲜᲝᲕᲣᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ („ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ). ლევან შენგელიძე სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა „გზეხის მარჯვენის“ წევრია. იგი იენისის ბოლო რიცხვებში დაბრუნდა წითელი არმიის რიგებიდან. მონაწილეობა მიიღო მოსავლის აღებაში. ბევრითი კოლმეურნე მოსავლის აღების დროს კომბაინზე მიმაგარის დამხმარედ. ხელს უწყობდა კომბაინის შეუფერხებელ მუშაობას. ორი თვის განმავლობაში 105 ჰექტარზე აღრმოებდნენ პოლიტკომზრდელობის მასაბაძი ინიციატივა გამოიჩინა—ადგილზე შეკრიბა მუზეუმი სამკურნალო მყოფ დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა გმირული ბრძოლების შესახებ მეგროვილი მასალებისაგან. თვალსაჩინო ადიღაცია კარგად იყო დაყენებული ჰოსპიტალში (უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. გ. ბურკაძე).

კარგი ინიციატივა გამოიჩინა წალენჯის ჰოსპიტალმა (უფროსი ამხ. ს. ცოფაია, მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. ბ. მირნაღა). მან პირველმა მოაწყო თანშრომ შეგროვება თვითმფრინავის „საბჭოთა საქართველოს ჯანმრთელობის კერის“ შეძენაბრძოლისათვის. ამ საქმეში ჰოსპიტლის ხელმძღვანელობამ მიიღო დიდი სტალინის სახ. ტანსაცმლის სალაში და წითელი არმიის მადლობა.

ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ჰოსპიტლებს შორის. შემოწმების შედეგად 1942 წელს წყალტუბოს და ბორჯომის ჰოსპიტლებმა ეს მაღალი ჯილდო დღემდე შეინარჩუნეს.

ომის დამთავრების შემდეგაც პარტია და ხელისუფლება ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა განსაკუთრებული პირობები შეუქმნან სამამულო ომის ინვალიდებს მკურნალობისა და დასვენებისათვის. ამ მიზნით გამოტანილია დადგენილება სამამულო ომის ინვალიდებისათვის სანატორიუმების განსნის შესახებ. საქართველოში სანატორიუმები გაიხსნება: წყალტუბოში, ბორჯომში, ლიკანში, ლიხანში, ცქალში და ბორკნე კონცხზე. სანატორიუმები მომსახურებას გაუწევენ სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებიც მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში და საწარმო-დაწესებულებებში. საგზურებს შეიძენენ პროფკავშირები და გასცემენ უფასოდ.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით ჩვენ შეეძლებთ სანატორიუმები გავხსნათ დაწესებულ ვადებში და წარმატებით შევასრულოთ დავალება სამამულო ომის ინვალიდების გაჯანსაღების დარგში.

ლ. ᲧᲣᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘ

საქართველოს რესპუბლიკაში საკავშირო პროფსაბჭოს ჰოსპიტალების სამმართველოს უფროსი

ᲡᲐᲡᲘᲛᲭᲘᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲨᲘ

ᲐᲠᲐᲑᲐᲕᲔᲚᲘᲗᲐᲕᲘ, 17 ნოემბერი. (საქეცნი). არხანგელსკში და მის ოლქის რაიონებში გაიხსნა სასოფლო—სამეურნეო გამოფენები, სტენდებზე არის: ხორბალი, ქვაღი, ქერი, შვრია, კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ზაქრის ჭარხალი, ლიტრი, პამიდორი, სახვითი ხელოვნების ნიმუშები წლევანდელი კოლმეურნეობის ოლქის კოლმეურნეობათა განეულვეტილი ნაკვეთი, ნენის მტკ.-ი და ნენელთა ეროვნული ოლქის კოლმეურნეობათა განეულვეტილი ნაკვეთის ტენრის სულ ახალ ფორმოსბს.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენები ქ.ᲠᲥᲔᲚᲝᲔᲗᲨᲘ

სასოფლო-სამეურნეო გამოფენები გვიხვებენ, რომ ოლქის კოლმეურნეები, რომლებმაც შორს ჩრდილოეთში წასწიეს მიწათმოქმედება, აქ ნაკლებ მოსავლის რიდი ღებენ, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სამეცნო ხილეარა გორა-ტბალნიანის რეგიონში. ხილეარა გორა-ტბალნიანის რეგიონში ორ თვეზე მეტი ხანით ადრე ხდება ნაყოფის მომწიფება. ამ რეგიონში

ბულგარეთის სახალხო კრების არჩევნები

სოფია, 18 ნოემბერი. (საქინფო). დღეს ბულგარეთში სწარმოებს სახალხო კრების არჩევნები. კენჭისყრა მიმდინარეობს უდიდესი აღტინოსანებით, დამკვიდრებულია სრული სიწყნარე და წესრიგი.

სოფიაში საარჩევნო უბნებთან დიდი რიგები დგებან.

ხმის მიცემა საარჩევნო სექციებში დილის 7-დან 16 საათამდე ხდება. ამ პერიოდში ხმა-მაღლი ფრონტის დამაარსებელმა გეორგი დიმიტროვმა. შემობიდან გამოსულმა ხალხმა ამ ოცდაათ გაუმართა, კარნიბატიდან ოფუზებან, რომ ამ ჩასული პრემიერ-მინისტრი კრების გეორგიევი ხალხმა ხელში ატაცა.

* * *

სოფია, 18 ნოემბერი. (საქინფო). დღეს ბულგარეთში სწარმოებს სახალხო კრების პირველი თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები. ბულგარეთის დემოკრატიულ ფრონტის ერთიანი სიები მიიღო. ყველას ჩაბს ერთგულად აღმები და ლეზუნგები, რომლებიც ამომარჩევილი მოუწოდებენ შეასრულოს თავისანი ვალი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში.

კენჭისყრა დაიწყო დილის 7 საათზე. საარჩევნო უბნებთან დიდი რიგები შეიქმნა. ბევრი მთელი ოჯახებით მოდიოდნენ საარჩევნო ყუთებთან. კენჭისყრა დიდ ენთუზიაზმით მიმდინარეობს. თავისუფალ და ფარული კენჭისყრაზე მეთვალყურეობა, არჩევნებისადმი საზოგადოებრივი მეთვალყურეობის კომისიები თავისუფლად შედიან საარჩევნო სექციებში, თვალყურს ადევნებენ კენჭისყრის მსვლელობას. კომისიის წევრებს საყოველთაო და სახელობრივ აქვთ დართო სამღერტიფიკატო ნუმერები, რაც ყოველ ამომრჩეველს საშუალებას აძლევს მაღე ბოძონოს. ისინი საკონიბის დროს. საზოგადოებრივი მეთვალყურეობის კომისიებში შედიან წარმომადგენლები, კომპარტიის, პროფესიონალური კავშირების, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის, ფიზკულტურული ორგანიზაციების, ინტელიგენციის, ქალთა დემოკრატიული ფედერაციის, ხალხური ფრონტის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ხმის მიცემის დროს ამომრჩეველთა სიებში ჩაწერილია 4,504,735 კაცი. ამათგან სახალხო კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3,862,492 ამომრჩეველმა, ე. ი. 86 პროცენტმა, აქედან სამაგალითო ფორმებში დაბეჭდილ ბიულეტენებში ხმა მისცა 3,407,355 კაცმა, ე. ი. 88,2 პროცენტმა.

ბულგარეთის მთავრობის პასუხი ამერიკის ნოტაზე

სოფია, 17 ნოემბერი. (საქინფო). ბულგარეთის დემოკრატიული ცნობით, 17 ნოემბრის დილით საგარეო საქმეთა მინისტრ ვასილ პროფესორმა პეტკო ბოგდანოვის ამერიკის წარმომადგენელს ბულგარეთში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობის მრჩეველ ჯეიმს ვან ჰორნს გადასცა დაწერილობითი პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც წინა დღეს გადაეცა მინისტრის მოადგილეს ანტონ ტრიფონოვს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრ ჯ. ბირნსის სახელით.

ამ პასუხში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც ბულგარეთის მთავრობამ ამ წლის 24 აგვისტოს გადასცა 26 აგვისტოსათვის დანიშნული საგანმანათლებლო არჩევნების ვადა, მთავრობამ საკუთარი ინიციატივით მთელი რიგი ღონისძიებები მიიღო, რათა კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები ეკმნა ოპოზიციური ნაწილებისათვის მათ მიერ ხალხის ნება-ყოფლობითი გამოხატულების ახალი საყრნისათვის.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მემორანდუმის მასობრივ მიზინგზე ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საქინფო). ჩიკაგოს უკვე ვიუწყებოდით, 14 ნოემბერს ნიუ-იორკის მუდსონ-სკვერ გარდენში შესდგა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მემორანდუმის პროფესიონალ მეტინგი, რომელიც მოაწყო ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტის ნიუ-იორკის განყოფილებამ.

სატყვა წარმოთქვეა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა სსრკ კავშირში დევიდ ლოუერენსი. ორასათასიანი მასობრივი მიტინგის ორგანიზატორებმა მოიწონეს მოკავშირეთა ომის დროს ურთიერთობის ისტორიული მნიშვნელობის აქტი საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამ მემორანდუმის ხელმოწერა ხელს შეუწყობს ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს შორის ურთიერთგაგების შექმნას და ხელს შეუწყობს ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ელჩ ლოუერენსმა წაიკითხა პრეზიდენტ ტრუმენის, სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბირნსის, ომის მდივნის რობერტ პატერსონის, საზღვაო ფლოტის მინისტრ ჯეიმს ფორესტალის, ვიცე-პრეზიდენტ ალბენ ბარკლის, ადმირალ ლეჰის, გენერალ არნოლდის, გენერალ აიზენჰაუერის, გენერალ ბრედლის, გენერალ ვანდენბერგის, გენერალ ეიზენჰაუერ